ხელშეკრულება N10.29/10/100

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი

26 ნოემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობა** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი რაიონის გამგებლის - **ირმა ზავრადაშვილის** სახით, მეორეს მხრივ **შპს `ნანოტეკ“ ”** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, **მერაბ მერებაშვილის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით, გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6 სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

1.7 თუ ხელშეკრლებით გათვალისწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

1.8 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.9 „ფორსმაჟორი“ - ,,მხარეები“ -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა“ და/ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია: დიდუბის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობისთვის სახანძრო სისტემის მოწესრიგებისათვის საჭირო სახანძრო მოწყობილობების შესყიდვა (თანმდევი სამონტაჟო მომსახურეობით), რომელთა რაოდენობა და ჩამონათვალი ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი N1-ის სახით.

2.2. კლასიფიკატორის კოდი (CPV) (35100000 / 35110000) - სახანძრო, სამაშველო მოწყობილობები და უსაფრთხოების საშუალებები..

3. სახელშეკრულებო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა (შემდგომში „სახელშეკრულებო ღირებულება“) **4528,08 (ოთხი ათას ხუთასოცდარვა ლარი და რვა თეთრი)** ლარი, ყველა გადასახადების ჩათვლით.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის საორგანიზაციო განყოფილებისს უფროსი **თამარ მაისურაძე.**

4.2. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის (ტანმდევი მონსახურეო მოწოდებისას, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხი.

5. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

5.1. ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 25 დეკემბრამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების **ადგილია: ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ. N1. დიდუბის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა.**

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, საქონლის მიწოდებისას შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.2 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

6.3 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

6.4 ანგარიშსწორება განხორციელდება 2018 წლის ბიუჯეტის სახსრებით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.5 ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის (პირგასამტეხლოს) ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე დაკისრებული ჯარიმის (პირგასამტეხლოს) გადახდის შემდეგ.

6.6 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინების მიღებიდან 6.4 პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშსწორებამდე მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველს ასევე შეუძლია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა დაუქვითოს მიმწოდებელს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

6.7 **წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.**

6.8 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **თამარ მაისურაძე.**

7. გარანტია

7.1 მიწოდებული საქონლის (თანმდევი სამონტაჟო მომსახურეობით) საგარანტიო ვადა შეადგენს **1 (ერთი) წელს.**

7.2 საგარანტიო ვადის განმავლობაში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფხვრელად შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრას მოთხოვნის წარმოდგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები;

8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) ყოველ ჯერზე ამ ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.3. საქონლის მიწოდების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

8.4. ამ მუხლის 8.3. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს 1%-ს ან/და ამ მუხლის 8.2. პუნქტით გათვალისწინებული სანქციის 2- ჯერ ან მეტჯერ გამოყენების შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. აღნიშნული საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ერთჯერადი პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.5.საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში.

8.6.ხელშეკრულების 6.4. პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება აქვს მოთხოვოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მოხდა შემსყიდველისაგან დამოუკიდებელი მიზეზით.

8.7.საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს **2019 წლის 31 იანვრამდე, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლისა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება მასში მითითებული საგარანტიო ვადის შესაბამისად.**

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.7. თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია 10 დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10. ფორს-მაჟორი

10.5. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვლებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკებების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

12.3 მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით.

12. სხვა პირობები

12.5. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

12.6. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.7. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.8. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

12.9. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შედგება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის	შპს „ნანოტეკ“
დიდუბის რაიონის გამგეობა	ს.კ. 402053031
ს/კოდი: 202171167	მის. ქ. თბილისი, დ/მ მე-4 კვ. კორპ.24
მის. აკ. ბელიაშვილის ქ. N1	ტელ. +995551110360
სახელმიწფო ხაზინა:	ელ. ფოსტა. Merab.merabishvili@gmail.com
ა.ა. GE24NB0330100200165022	სს „თიბისი ბანკი“
TRESGE22	ა.ა. GE91TB7362836080100007
	TBCBGE22
ირმა ზავრადაშვილი	მერაბ მერაბიშვილი
----------	----------

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თბილისი

26 ნოემბერი 2018 წელი

ვადასტურებთ რომ ჩვენი მონაწილეობა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ 2018 წლის 26 ნოემბერს გაფორმებული №10.29/10/100 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობისთვის სახანძრო სისტემის მოწესრიგებისათვის საჭირო სახანძრო მოწყობილობების (თანმდევი სამონტაჟო მომსახურეობით) სახელმწიფო შესყიდვის** განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

რაიონის გამგებელი

ირმა ზავრადაშვილი

გამგეობის საორგანიზაციო
განყოფილების უფროსი

თამარ მაისურაძე

ხარჯთაღრიცხვა №1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობა

№	დასახელება	განზ. ერთ	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ჯამი
				ერთ	სულ	ერთ	სულ	
1	მისამართიანი კვამლის დეტექტორის შეძენა-მონტაჟი	ცალი	8.00	67.80	542.40	25.40	203.20	745.60
2	მისამართიანი კვამლის დეტექტორის ძირის შეძენა-მონტაჟი	ცალი	8.00	5.08	40.64	1.50	12.00	52.64
3	სადენი სახანძრო 1*2*0.8 - გაყვანა	მეტრი	100.00	0.76	76.00	0.60	60.00	136.00
4	საკაბელო არხის გაყვანა	მეტრი	60.00	1.10	66.00	0.90	54.00	120.00
5	დეტექტორების გაწმენდა	ცალი	64.00	-	-	3.50	224.00	224.00
6	სახანძრო სისტემის შემოწმება	მომსახ.	1.00	-	-	500.00	500.00	500.00
7	ცეცხლმაქრის გადატუმბვა	ცალი	15.00			42.00	630.00	630.00
	ჯამი				725.04		1,683.20	2,408.24
	ზედნადები ხარჯები	%	72.00					1,211.90
	ჯამი							3,620.14
	მოგება	%	6.00					217.21
	ჯამი დ.ღ.გ.-ს გარეშე							3,837.35
	დ.ღ.გ.	%	18.00					690.72
	ჯამი							4,528.08

მიმწოდებელი

შპს "ნანოტეკ"

დირექტორი

მერაბ მერაბიშვილი

შემსყიდველი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობა

საორგანიზაციო განყოფილების უფროსი

თამარ [illegible]